

ოქმი N 7

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

2017 წელი, 20 მარტი
ქ. ოზურგეთი, 16⁰⁰სთ

ესწრებოდნენ:

თავმჯდომარის მოადგილე: ნ. გოგუაძე,

კომისიების თავმჯდომარეები: ლ. ბიგვავა, ნ. ტაბატაძე, ლ. თოიძე,
მ. მახარობლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ. ორაგველიძე, კ. კვაჭაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: თ. ნადირიძე, ი. საჯაია, თ. სალუქვაძე,

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ნ. გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გელა კობალაძისათვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ნ. გოგუაძემ ცნობის სახით მიაწოდა ინფორმაცია ბიუროს წევრებს გ. კობალაძისათვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად

- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის მიერ პეტიციის სახით ინიცირებული „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრიაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებლები: თამაზ ტრაპაიძე
გრიგოლ მახარაძე

მომხსენებელმა თ. ტრაპაიძემ განმარტა პეტიციის შინაარსი სარეკრიაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესის განსაზღვრის შესახებ და აღნიშნა, რომ სამური საქმეა ამ წესის განსაზღვრა.

აზრი გამოთქვეს: გ. მახარაძე - იმ ფორმით პეტიცია (დადგენილების პროექტით) წარმოადგენს მაგალითს სხვა მუნიციპალიტეტებისათვის. ჩვენ ჩავერთვებით კომისიების მუშაობაში.

ნ. გოგუაძე - პეტიცია დაურიგდება კომისიებს, მოხდება განხილვა და საბოლოო სახით გატანილი იქნება საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დაადგინეს: პეტიცია დაურიგდეს საკრებულოს კომისიებს განსახილველად.
დამტკიცდა ერთხმად

3. „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებლები: მარიკა ნაცვალაძე
ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ განმარტა შესატანი ცვლილებები და განმარტებები.

დაადგინეს: საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე
დამტკიცდა ერთხმად

4. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებლები: ირინე საჯაია
ნინო ტაბატაძე

მომხსენებელმა ნ. ტაბატაძემ განმარტა პროექტი.

დაადგინეს: საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე
დამტკიცდა ერთხმად

5. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს ლიკვიდაციის თაობაზე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე

დამტკიცდა ერთხმად

6. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მარინა ჯაფარიძე

მომხსენებელმა მ. ჯაფარიძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ნ. გოგუაძე - საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

დაადგინეს: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

დამტკიცდა ერთხმად

7. „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მარინა ჯაფარიძე

მომხსენებელმა მ. ჯაფარიძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

დამტკიცდა ერთხმად

8. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მარინა ჯაფარიძე

მომხსენებელმა მ. ჯაფარიძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

დამტკიცდა ერთხმად

9. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მარინა ჯაფარიძე

მომხსენებელმა მ. ჯაფარიძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

დამტკიცდა ერთხმად

10. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მარინა ჯაფარიძე

მომხსენებელმა მ. ჯაფარიძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

დამტკიცდა ერთხმად

საკრებულოს სხდომა ჩატარდება 2017 წლის 21 მარტს 12 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ხელმძღვანელობა